საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთის შროშანი

მთის შროშანი (Lilium szovitsianum) მრავალწლოვანი ბოლქვიანი ბალახოვანი მცენარე შროშანისებრთა ოჯახისა. მისი ღერო ხშირფოთლიანია, სიმაღლე 1 *მ*-ს აღწევს. აქვს ფართო ლანცეტა ფოთლები და მტევნებად შეკრებილი ან, უფრო იშვიათად, მარტოული ყვავილები. ყვავილსაფრის ფოთლები გოგირდისფერია, შიგნითა მხრიდან მოფენილია მუქი მეწამული წინწკლებით.

გავრცელებულია საქართვ. მაღალმთიან რ-ებში, გვხვდება ჩრდ. და აღმ. ანატოლიაში. იზრდება ტყისპირებზე, ნაკაფებსა და ბუჩქნარებში მთის შუა და ზედა სარტყლებში, აგრეთვე სუბალპ. მაღალბალახეულობაში. ძალიან ლამაზი დეკორ. მცენარეა.

ლ. ხინთიბიძე